სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2023 წლის 30 მაისის ბრძანება №::117/01-01** საფუძველზე - ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიისა და გენეტიკის კათედრებზე - გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2023 წლის 12 ივნისის №:56/2023 დადგენილების** პუნქტი 5-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი „14 " ივლისი, 2023 წ.

თსუ XI კორპ. ოთახი #547 14:00 სთ,

სხდომას კომისიის 7 წევრიდან ესწრებოდა 7 წევრი:

1. დიანა ძიძიგური - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარე);
2. თეიმურაზ ლეჟავა - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მანანა გორდეზიანი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის მდივანი);
4. მაგდა ალანია - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ.;
5. ეკატერინე ბაკურაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ..
6. თინთინ ჯოხაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ..
7. გიორგი ბურჯანაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასისტ. პროფ..

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტზე - კათედრა გენეტიკა და კათედრა მორფოლოგია** - ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **გენეტიკის კათედრის** ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ბიოლოგიის **დოქტორმა მაია გაიოზიშვილმა.**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **მორფოლოგიის კათედრის** ასისტენტ პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ბიოლოგიის დოქტორმა **ლევან რუსიშვილმა.**

მაია გაიოზიშვილი :

აღინიშნა, რომ კონკურსანტ მაია გაიოზიშვილის **განათლება** (ბიოლოგიის მაგისტრი (სპეციალობა: გენეტიკა, ჰემატოლოგია, ტრანსფუზიოლოგია); **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის დოქტორი (გენეტიკა), კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი *D № 000014 სარეგისტრაციო № 01/102831),* **სამსახურებრივი გამოცდილება** - (2007-2008 წწ ბიოლოგიის მასწავლებელი სკოლა–პანსიონში „მომავალი“, 2008 – 2011 წლებში სხვადასხვა დროს, იყო თსუ მედიცინისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკულტეტების მოწვეული პედაგოგი, ზსმფ-ის გენეტიკის სასწავლო – სამეცნიერო ლაბორატორიის ლაბორანტი. 2011-წლიდან დღემდე თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის ასისტენტ- პროფესორია). **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

II კატრეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (2008 – 2011 წლებში იყო თსუ მედიცინისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკულტეტების მოწვეული პედაგოგი, 2011-წლიდან დღემდე თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის ასისტენტ- პროფესორია) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, **სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** - (ელექტრონული სასწავლო კურსები: „გენეტიკა“, „ადამიანის გენეტიკა სამედიცინო გენეტიკის საფუძვლებით“. „უჯრედის ონტოგენეზი და გენეტიკა“. „კვლევის მეთოდები“. „Genetics„) , **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები** (2019წ ვორკშოპი - „სწავლა, სწავლება და შეფასება“. 2014წ - „ძირითადი ფლუორესცენტული ინ სიტუ ჰიბრიდიზაციის პროცედურები. FISH ტელომერული პრობების, BAC პრობების გამოყენებითა და მთლიანი ქრომოსომების მონიშვნა (შეღებვა ფლუორესცენტული საღებავებით)“. 2012წ - ვორკშოპი - „წარმატების სტრატეგიები საპროექტო წინადადებების წერის დროს“), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მაია გაიოზიშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია-სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 10 სამეცნიერო

პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 15 საერთაშორისო და 6 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობდა 3 საგრანტო პროექტის მუშაობაში, მისი ციტირების ინდექსია 24, სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. იყო 10 სამაგისტრო / საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სტუდენტთა მოხსენებების (7) ხელმძღვანელი, თსუ-ს/ფაკულტეტის ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილი სხვადასხვა კომისიების წევრი. ფლობს რუსულ, ინგლისურ ენებს და ყველა ძირითად საოფისე კომპიუტერულ პროგრამას.
საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე .

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მაია გაიოზიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 6 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (6 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ მაია გაიოზიშვილის კანდიდატურას.

- **კათედრა - გენეტიკა**
- **მაია გაიოზიშვილი** - გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე -6; წინააღმდეგი - არცერთი;

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო - მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - გენეტიკა** - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **მაია გაიოზიშვილი.**

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

ლევან რუსიშვილი:

აღინიშნა, რომ კონკურსანტ ლევან რუსიშვილის **განათლება** (1986-1991წწ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი). **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი - 03.00.11*),* **სამსახურებრივი გამოცდილება** - (1991-2006წწ სხვადასხვა დროს იყო თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორიის ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2006 – 2019 წლებში თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე მორფოლოგიის კათედრის ლაბორანტი, 2019 წლიდან დღემდე კი ამავე კათედრის ასისტენტ პროფესორია) **პედაგოგიური სტაჟი** - (კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება - 2017 წლიდან დღემდე თსუ-ში ზსმფ-ის ბიოლოგიის დეპარტამენტსა და მედიცინის ფაკულტეტზე 14 სხვადასხვა სასწავლო კურსის ლექცია - სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს ატარებს, მისი საერთო პედაგოგიური სტაჟი 6 წელზე მეტია) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

II კატრეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (2017 წლიდან დღემდე თსუ-ში ზსმფ-ის ბიოლოგიის დეპარტამენტსა და მედიცინის ფაკულტეტზე 14 სხვადასხვა სასწავლო კურსის ლექცია /სემინარებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს ატარებს, 2019 წლიდან მორფოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორია) და **საერთო პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი), **სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** -(ელექტრონული სასწავლო კურსი: „ტოქსიკოლოგია“ - http://e-learning.tsu.ge, http://e-learning.tsu.ge/course/view.php?id=1881), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ლევან რუსიშვილმა მიიღო შეფასება„მაღალი“.**

III კატეგორია-სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 3 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 1 სამეცნიერო კონფერენციაზე, მისი ციტირების ინდექსია 23, h-ინდექსი-2, g-ინდექსი-3, სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.
საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე .

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. ფლობს რუსულ, ინგლისურ ენებს და Windows. Microsoft Office, CorelDraw, Adobe Photoshop, ImageJ, Adobe PageMaker საოფისე კომპიუტერულ პროგრამას. მონაწილეობს არასამთავრობო საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ECOSCOP“-ისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მუშაობაში.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ ლევან რუსიშვილის კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 6 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (6 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ ლევან რუსიშვილის კანდიდატურას.

- **კათედრა - მორფოლოგია**
- **ლევან რუსიშვილი** - გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 6; წინააღმდეგი - არცერთი;

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო - მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - მორფოლოგია** - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **ლევან რუსიშვილი.**

3. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა	*თარიღი 14.07.2023*
კომისიის თავმჯდომარე, პროფ.	/დ. ძიძიგური
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.	/თ. ლეჟავა /
კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.	/მ.გორდეზიანი/
კომისიის წევრი, ასოც. პროფ.	/ე.ბაკურაძე/
კომისიის წევრი, ასოც. პროფ.	/მ. ალანია/
კომისიის წევრი, ასოც. პროფ.	/თ. ჯოხაძე/
კომისიის წევრი, ასისტ. პროფ.	/გ. ბურჯანაძე/